საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5871
04/10/2022

5871-21-2-202210041722

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“
მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №5

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4749 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვაკიჯვარში და სოფ. ცხემლისხიდში მდ. ნატანების ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 24 ივნისს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, გაიცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შპს „უნივერსალ ენერჯი ქორფორეიშნის“ მდ. ნატანებზე 9.085 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („ნატანები 3 ჰესი“) და 110 კვ ძაბვის ღია ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N161/ს). თქვენ მიერ წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ სოფ. ვაკიჯვარში მოსაწყობი ნაპირსამაგრი ნაგებობა კვეთს, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ფუჭი ქანების სანაყაროს განთავსების ტერიტორიას. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: ელ. ვერსია

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო